# ინფორმაცია „ევროპის ადგილობრივი დემოკრატიის კვირეულის" შესახებ

**ევროპის ადგილობრივი დემოკრატიის კვირეული** არის ახალი, ყოველწლიური ევროპული ღონისძიება, სადაც ეროვნული და ადგილობრივი შეხვედრები ერთდროულადაა ორგანიზებული და მასში თანამონაწილეობენ ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლები ევროპის საბჭოს ყველა წევრი ქვეყნებიდან, იმ მიზნისთვის, რომ გამყარდეს ცოდნა ადგილობივი დემოკრატიის შესახებ და ხელი შეეწყოს დემოკრატიული თანამონაწილეობის იდეის განვითარებას ადგილობრივ დონეზე.

ევროპის საბჭოს ორი წარმომადგენელი მხარე, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ადგილობრივი და რეგიონალური დემოკრატიის საკითხებზე–ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონალური დემოკრატიის კონგრესი (კონგრესი) და ევროპის კომიტეტი, რომელიც მუშაობს ადგილობრივი და რეგიონალური დემოკრატიის საკითხებზე, განავითარეს ეს პროექტი და ერთობლივად უჭერენ მხარს მის განხორციელებას.

შეხვედრისათვის შეირჩა კვირეული 15–დან 22 ოქტომბრამდე, როგორც ერთგვარი მიძღვნა ადგილობრივი მმართველობის ევროპული ქარტიისადმი, რომელსაც პირველად ხელი მოეწერა 1985 წელს, ამავე რიცხვში. სხვადასხვა მიზეზების გამო, ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლები ვერ ახერხებენ ჩაატარონ ევროპის ადგილობრივი დემოკრატიის კვირეული ზემოთ აღნიშნულ კვირაში და ამიტომ, ისინი თავისუფალნი არიან არჩევანში შეხვედრის გასამართად შეარჩიონ მათთვის მოსახერხებელი კვირა. წლევანდელი კვირეული სიმბოლურად აღნიშნავს აგრეთვე 1957 წელს, ევროპის საბჭოში დაფუძნებული ადგილობრივი მმართველობის კონფერენციის 50–ე წლისთავს. ეს გახლდათ პირველი მმართველობითი ორგანო ევროპაში, რომელმაც თავი მოუყარა ადგილობრივი და რეგიონალური თემებიდან არჩეულ ოფიციალურ პირებს.

**ადგილობრივი დემოკრატიის ევროპული განზომილება**

თანაფარდობა, რომელიც ცვალებადობს ადგილობრივ დემოკრატიული წესით ცხოვრებასა და კარგი მმართველობის პრინციპებს შორის ადგილობრივ დონეზე, წარმოადგენს იმ სწრაფვას, რასაც ფართოდ იზიარებს ევროპელთა დიდი ნაწილი.

ევროპაში რამდენიმე ორგანიზაცია მუშაობს ადგილობრივი დემოკრატიის ხელშეწყობის საკითხებზე. ევროპის საბჭო მოწოდებულია განავითაროს და ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის იმ სტილს, რომელიც პასუხობს პრინციპს, რომ დაცული იყოს მოქალაქის საჭიროებები, რას სფეროსაც არ უნდა ეხებოდეს ის. ევროპის საბჭომ აგრეთვე ჩამოყალიბა ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპის ქარტია, რომელიც ძალაში შევიდა 1988 წლის 9 ოქტომბერს. ევროპის ქარტიის ხელმომწერი ქვეყნები პასუხისმგებლეელნი არიან აღიარონ ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპები საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

შეხვედრებმა კონტინენტის მასშტაბით, რომელიც ჩატარდება **ევროპის ადგილობრივი დემოკრატიის კვირეულის** ეგიდით, წვლილი უნდა შეიტანონ რომ გამყარდეს მოქალაქეთა შეგნება ადგილობრივი დემოკრატიის, როგორც საერთო ევროპული ღირებულების და დემოკრატიული საზოგადოების შესახებ, რომელიც წარმოადგენს ძირითად საბაზისო ელემენტს დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობისთვის.

**სამიზნე ჯგუფები**

**ევროპის ადგილობრივი დემოკრატიის კვირეული** გამიზნულია პირველი რანგის ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლებისთვის (ადგილობრივი თემები, ქალაქები, მუნიციპალიტეტები), რომლებიც პასუხისმგებლები არიან როგორც თავიანთ ორგანიზაციაზე, აგრეთვე მოქალაქეებზე – ევროპის ადგილობრივი დემოკრატიის კვირეულით გათვალისწინებული საქმიანობების პრინციპულ მოსარგებლეებზე.

**მიზნები**

**ევროპის ადგილობრივი დემოკრატიის კვირეულს** გააჩნია რამოდენიმე მიზანი. მისი დანიშნულებაა აამაღლოს ევროპელი მოქალაქეების ინფორმირებულობა იმის შესახებ, თუ როგორ ფუნქციონირებს ადგილობრივი მმართველობა, ინფორმაცია მიაწოდოს მათ იმ შესაძლებლობებზე, რაც მათ უფლებას ანიჭებს, მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ადგილობრივ დონეზე და გაამახვილონ მათი ყურადღება იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათი თანამონაწილეობა ადგილობრივ საქმეებში, რათა შენარჩუნდეს ადგილობრივი დემოკრატიის სიცოცხლისუნარიანობა. ინიციატივა აგრეთვე მოემსახურება იმ მიზანს, რომ ამაღლდეს ადგილობრივი მმართველი მოხელეებისა და სახელმწიფო სამოქალაქო მოხელეების ცოდნა ადგილობრივ დონეზე, დემოკრატიული

თანამონაწილეობის შესახებ ადგილობრივ დონეზე, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს მათ შეხვდნენ მოქალაქეებს არაფორმალურ გარემოში. უფრო მეტიც, „კვირეული" აგრეთვე განავითარებს შესაძლებლობას, ყურადღება გამახვილდეს ადგილობრივ დემოკრატიაზე, როგორც ერთ–ერთ მთავარ კომპონენტზე დემოკრატიული ევროპის ასაშენებლად, აგრეთვე მოხდება საზოგადოებისა და არჩეული წარმომადგენლების ინფორმირებულება ევროპის საბჭოს როლის შესახებ ამ სფეროში.

### „კვირეული"

2007 წლის 15 და 16 ოქტომბერს, ვალენსიაში ადგილობრივ და რეგიონალურ მმართველობაზე მომუშავე მინისტრების კონფერენციის მე–15 სესიას ფარგლებში გაიმართება პირველი ევროპული "ადგილობრივი დემოკრატიის კვირეული". მასში მონაწილეობას მიიღებენ წარმომადგენლები მინისტრთა კომიტეტიდან, კონგრესიდან და საპარლამენტო ასამბლეიდან. კვირეულის გახსნის პირველ სესიას აგრეთვე დაესწრებან ეროვნული ასოციაციების და ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლები ევროპის ქალაქებიდან.

გამომდინარე 15 ოქტომბრის სიმბოლური ხასიათიდან, მნიშვნელოვანია, ამავე რიცხვში გახნილ "ადგილობრივი დემოკრატიის კვირეულში" ეროვნულ დონეზე მონაწილეობდეს პარტნიორთა მაქსიმალური რაოდენობა, თუმცა, ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლები ვერ ახერხებენ ჩაატარონ ევროპის ადგილობრივი დემოკრატიის კვირეული ზემოთ აღნიშნულ რიცხვში და ამიტომ, ისინი თავისუფალნი არიან არჩევანში. შეხვედრის გასამართად შეიძლება შეარჩეს მათთვის მოსახერხებელი წელიწადის სხვა ნებისმიერი თარიღი/დრო, რათა მოხდეს მოქალაქეთა ინფორმირებულობა, შეგროვდეს მათი მოსაზრებები და მოსალოდნელი შედეგები, აგრეთვე ის, რომ მნიშვნელოვანია ხელი შეეწყოს მათ აქტიურ მონაწილეობას ადგილობრივ საქმეებსა და ინსტიტუციებში. საქმიანობები უნდა წარიმართოს სხვადასხვა დონეზე ანუ უფრო სერიოზული დონიდან გადასვლა უნდა მოხდეს უფრო გასართობ, თავშესაქცევ საქმიანობაზე, როგორიცაა ინფორმაციის გავრცელება, ღია კარის დღეების მოწყობა ან დებატების ჩატარება ადგილობრივი პრობლემებზე ადგილობრივ ლიდერებთან და ოფიციალურ პირებთან, აგრეთვე თამაშებისა და შეჯიბრებების მოწყობა და ა.შ. ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს იმაზე, რომ საქმიანობაში ჩაერთონ ახალგაზრდები და ეს უნდა ემსახურებოდეს იმ მიზანს, რომ რაც უფრო ადრეულ ეტაპზე გაიზრდება მათი ინფორმირებულობა ადგილობრივ დონეზე, მათი მონაწილეობა, მით უფრო შესაძლებელი გახდება ამ საქმიანობის მიზნის განხორციელება.

ვალენსიასა და ევროპის სხვა ქალაქებში გამართული შეხვედრების ძალაში შესვლის შემდგომ, "ადგილობრივი დემოკრატიის კვირეული" გააგრძელდება როგორც „პან–ევროპული" საქმიანობა იმ მიზნით, რომ მოხდეს უფრო მეტი ადგილობრივი მთავრობების ჩართვა – ინდივიდუალურად და მათი ასოციაციების მეშვეობით. სტრატეგიის ამ ნაწილისათვის აგრეთვე მისაღებია მის რიგებში გაერთიანდეს უკვე არსებული ინიციატივები და პროექტები ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნებიდან, მათი გათვალისწინებითაც, ვინც უკვე დაგეგმა შეხვედრები წელიწადის სხვადასხვა დროის მონაკვეთში "ადგილობრივი დემოკრატიის კვირეულის" ეგიდით, იმ მიზნით, რომ მიეცეთ მათ უფრო მეტი ვიზუალურობისა და შესაძლო გავლენის გაფართოების საშუალება.

### *პროექტის პარტნიორები და მონაწილეები*

ევროპის საბჭო, როგორც ამ პროექტის ინიციატორი, განსაზღვრავს პროექტის საერთო ჩარჩოს, გვთავაზობს საქმიანობებს, იზიარებს ვიზუალური იდენტურობის პრინციპს და საერთოდ, კოორდინაციას უწევს „კვირეულის" ევროპულ განზომილებას. ევროპის საბჭო მჭიდროდ ურთიერთთანამშრომლობს ადგილობრივ სამთავრობო ასოციაციებთან მთელს ევროპაში. ევროსაბჭო აგრეთვე უზრუნველყოფს იმ საკითხს, რომ ამ ინიციატივის ევროპული განზომილება ასახულია ადგილობრივ დონეზე წარმართულ საქმიანობებში.

**ეროვნულ დონეზე** სამთავრობო ნაციონალური ასოციაციები და ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები მოწვეულნი არიან გახდნენ ამ პროექტის პარტნიორები და ხელშემწყობი პირები, შექმნან ეროვნული ჩარჩო–სტრუქტურა, რომელიც მხარს დაუჭერს ადგილობრივი მთავრობის მონაწილეობას და ჩართულობას პროექტში და ორგანიზებას გაუწევს შეხვედრების მოწყობას ეროვნულ დონეზე.

**ადგილობრივ დონეზე** ადგილობრივი მთავრობა მოწვეულია ინდივიდუალურად "ადგილობრივი დემოკრატიის კვირეულში" მონაწილეობის მისაღებად. მათ ექნებათ მოქმედების თავისუფლების ფართო მასშტაბი კვირეულის საუკეთესოდ ორგანიზებისა და წარმართვისათვის. .

### პარტნიორთა მონაწილეობა

პირველმა კონსულტაციებმა ევროპულ და ეროვნულ სააგენტოებთან გამოიღო ძალიან დადებითი შედეგი, აჩვენა რა, რომ წევრი ქვეყნები გამოთქვამენ მათ საერთო ნება–სურვილს ამ პროექტის მხარდასაჭერად. მისი შემდგომი ხელშეწყობა ამჟამადაც ხორციელდება და ნებისმიერი ადგილობრივი მთავრობა, სამთავრობო ასოციაცია ან სხვა დაინტერესებული პარტნიორი, მოწვეულია პროექტის მხარდასაჭერად და მასში მონაწილეობის მისაღებად.